ხელშეკრულება № 3/255

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი "13" თებერვალი 2010წ.

სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო" შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი სააგენტოს გენერალური დირექტორის **ნიკოლოზ ვაჩეიშვილის** სახით და ფიზიკური პირი **მაია ჩხაიძე** შემდგომში წოდებული „შემსრულებლად", ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და შემსრულებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „ შემსრულებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" – წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააააგენტო"-სათვის, „უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე ე.წ.ამფითეატრის მიმდებარე კედლებზე განსათავსებელი ბანერების დიზაინის მომზადება.

2.2 ტექნიკური დავალება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ფაქტიურად მომსახურების ღირებულება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება (თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად) შეადგენს:

925 (ცხრაას ოცდახუთი) ლარს

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს **შემსრულებლის** ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **შემსრულებელი** ვალდებულია:

შემსყიდველს გაუწიოს უნაკლო და ხარისხიანი მომსახურება თანდართული ტექნიკური დავალების შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი ვალდებულია:

ა) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გადაუხადოს შემსრულებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

ბ) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

გ) წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე საგადასახადო ორგანოებთან წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვაზე.

5. ხარისხი

5.1 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მონაცემებს.

5.2 შემსრულებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად. ინსპექტირებას განახორციელებენ მოძრავ ძეგლთა და სამუზეუმო კოლექციების მართვის სამსახურის კოორდინატორი მაია ყვირალაშვილი და ამავე სამსახურის თანმშრომელი გვანცა გეგეჭკორი.

6.2 შემსრულებელი ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას.

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 2 დღეში.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით ინსპექტირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას-ჩაბარებას აწარმოებენ მოძრავ ძეგლთა და სამუზეუმო კოლექციების მართვის სამსახურის კოორდინატორი მაია ყვირალაშვილი და ამავე სამსახურის თანმშრომელი გვანცა გეგეჭკორი.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული შემსრულებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს მიღება-ჩაბარების აქტი.

9.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსრულებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. თუკი ანგარიშწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის გათვალისწინებული ვადების გადაცილების ან/და 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელი ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე განუხორციელებელი მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.3 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსრულებელი ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი თანხის ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს შემსრულებელი ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 (ათი) დღით ადრე.

13.2 შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება, შემსრულებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მომსახურების განხორციელება;

ბ) თუ შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შემსრულებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსრულებელს, ხოლო ორი– შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	შემსრულებელი
სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“,	ფ.პ. მაია ჩხაიძე
მისამართი: ქ. თბილისი, თაბუკაშვილი №5 ტელეფონი: (995 32) 93 13 49, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №901915400 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ- 204562311	მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 39, ბ.40 ტელეფონი: (995 32) 983174, 952478, 877-500-720 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი“ კოდი: 220101819 ა/ა GE03TB4982145064300001
გენერალური დირექტორი	
ნიკოლოზ ბაქრაძე	მაია ჩხაიძე

ტექნიკური პირობები

„უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე ე.წ. ამფითეატრის მიმდებარე კედლებზე განსათავსებელი ბანერების დიზაინის მომზადება.

ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და მის შესახებ ახალ თაობაში არსებული ცოდნის ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფოს განვითარების პროცესში. ტურიზმის განვითარებისათვის ხელშემწყობ ღონისძიებად გვესახება უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ–ნაკრძალის რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის განვითარება. აქედან გამომდინარე, ხორციელდება მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე ე.წ. ამფითეატრის მიმდებარე კედლებზე განსათავსებელი ბანერების დამზადება, რისთვისაც საჭიროა დიზაინის მომსახურება.

❖ *ძირითადი პირობები*

შემსრულებელი ვალდებულია გაითვალისწინოს დამკვეთის შენიშვნები და წინადადებები, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება ანაზღაურებას.

შესრულებული მომსახურების ანგარიში (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები) გაწეული მომსახურების შესაბამისად, დამკვეთს წარედგინება საბეჭდი ფაილის სახით 3 ეგზემპლარად.

❖ უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე ე.წ. ამფითეატრის მიმდებარე კედლებზე განსათავსებელი ბანერების დიზაინის მომზადება.

ე.წ. ამფითეატრის კედლები.

1. ბანერი 4ც. ზომა: 100X100 სმ. - ფერადი. არსებულ არქიტექტურულ მოცულობებთან, სადაც უნდა განთავსდეს ბანერები, შესაბამისობაში.

2. ბანერი 1ც. უფლისციხის გენ-გეგმა. ზომა: 2.30 X2.72 მ. ფერადი. უფლისციხის ძირითადი ნაგებობებისა და გზების მითითებითა და შესაბამისი წარწერებით.

❖ *ზემოაღნიშნული ბანერების დიზაინის მომსახურების გაწევა შემსრულებლის მიერ უნდა მოხდეს საბეჭდი ფაილების მომზადებით.*

- *ბანერების დიზაინის მომზადება უნდა მოხდეს ტექნიკურ დავალებაში წარმოდგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და ინსპექტირების ჯგუფთან შეთანხმებით;*

- *დამკვეთისთვის გასაწევი მომსახურება*

წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში შემსრულებლმა საბოლოო პროდუქციის სახით დამკვეთს უნდა მიაწოდოს მოთხოვნებთან და ტექნიკურ დავალებასთან შესაბამისი პროდუქცია. *ზემოაღნიშნული ბანერების დიზაინის ელექტრონული ვერსია საბეჭდი ფაილების სახით 3 ც.*

მომსახურების საკარაუდო ღირებულება შეადგენს 925 ლარს.

- *მომსახურების საბოლოო მიღება*

შემსყიდველი ამოწმებს გაწეული მომსახურებით მიღებულ პროდუქციას. წუნის აღმოჩენის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს დაფიქსირებული ხარვეზის აღმოფხვრა. საბოლოო მომსახურების გაწევის შემდგომ, დამკვეთის მხრიდან ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

<u>მომსახურების გაწევის ვადები:</u>

მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 15 დეკემბერი.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნულ სააგენტოს

ხარჯთაღრიცხვა: ბანერები "უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი"

დასახელება	ზომა	რაოდენობა	სხვა მონაცემი	ერთეულის ფასი	სულ
ბანერი უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის გეგმით	272 სმ X 230 სმ	1 ცალი	ფერადი	240,-	240,-
ბანერი დეკორატიული	100 სმ X 100 სმ	4 ცალი	ფერადი	100,-	400,-
საბეჭდი ფორმატის გამზადება	-	5 ცალი	tif -ფაილი	20,-	100,-
ჯამი					740,-
საშემოსავლო (20%)					185,-
საერთო ღირებულება (ლარი)					925,-

შემსრულებელი: მაია ჩხაიძე